

# ორმოცდაათი

## ელფერით

### მუქი

ტელევიზიის ყოფილი თანამშრომელი, ორი შვილის დედა, ე. ლ. ჯეიმზი დასავლეთ ლონდონში ცხოვრობს. ბავშვობიდანვე ისეთი მოთხრობების დანერაზე ოცნებობდა, რომლებსაც მკითხველი შეიყვარებდა, მაგრამ ოცნება ოჯახსა და კარიერას ანაცვალა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს გამბედაობა მოიკრიბა და დაწერა თავისი ტრილოგიის პირველი რომანი „გრეის ორმოცდაათი ელფერი“. მასვე ეკუთვნის კიდევ ორი რომანი: „ორმოცდაათი ელფერით მუქი“ და „თავისუფლების ორმოცდაათი ელფერი“.

**ე. ლ. ჯეიშის ნიშნები**

*გრეის ორმოცდაათი ელფერი*

*ორმოცდაათი ელფერით მუქი*

*თავისუფლების ორმოცდაათი ელფერი*

ე. ლ. ჭეიშვილი

თრმოცდაათი  
ელფერით  
მუქი



გაქურ სულაქარის  
გამომცემლობა

**ე. ლ. ჯეიმზი**

**ორმოცდაათი ელფერი მუქი**

**რომანი**

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**

**თბილისი**

**2015**

**მთარგმნელი ანა აბულაშვილი**

**რედაქტორი ანა ჭაბაშვილი**

**დიზაინერები: თამარ თათელაძე, ია მახათაძე**

**ტექნიკური დიზაინერი: ლადო ლომსაძე**

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015, 2016  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი

ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65

ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-23-315-9

**E L James**

**FIFTY SHADES DARKER**

Copyright © Fifty Shades Ltd, 2011

First Published by The Writer's Coffee Shop Publishing House, Australia,  
2011

Cover design based on design by Jennifer McGuire

Cover image © E. Spek/Dreamstime.com

Published by Sulakauri Publishing, 2015, 2016

All rights reserved.

**[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)**

ეს რომანი შეთხზულია. მასში მოხსენიებული ყოველი სახელი, პერსონაჟი, ადგილი და მოვლენა ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და ნებისმიერი დამთხვევა ცოცხალ თუ უკვე გარდაცვლილ ადამიანებთან, ადგილებთან თუ მოვლენებთან შემთხვევითია.

ამ ნაწარმოების ავტორისეული პირველი ვერსია მსგავსი სიუჟეტით, თუმცა კი განსხვავებული პერსონაჟებით ინტერნეტში „სამყაროს მფლობელების“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ედღენება Z-სა და J-ს  
თქვენ სამუდამოდ ჩემს გულში ხართ.

---

მინდა, ჩემი უსაზღვრო მადლიერება გამოვხატო სარას, კეისა და ჯადის მიმართ. მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ.

ასევე უღრმესი მადლობა ქეთლინს და კრისტის ტექსტზე მუშაობის ძირითადი სიმძიმის საკუთარ თავზე ალებისთვის.

მადლობას ვუხდის ნეილსაც, ჩემს ქმარს, ჩემს სიყვარულს და (თითქმის ყოველთვის) ჩემს საუკეთესო მეგობარს.

და ჩემი უდიდესი სალამი მთელი მსოფლიოს ყველა იმ არაჩვეულებრივ და საოცარ ქალს, რომლებთანაც მთელი ამ დროის განმავლობაში მქონდა ურთიერთობა და რომლებიც დღეს უკვე ჩემს მეგობრებად მიმაჩნია, მათ შორის: ეილს, ალექსს, ემის, ანდრეას, ანჟელას, ასუსენას, ბაბს, ბის, ბილინდას, ბეტსის, ბრენდას, ბრიტს, ქეროლაინს, ქეთრინს, დოუნს, გვენს, ჰანას, ჯანეტს, ჯენს, ჯენის, ჯილს, კეიტის, კეტის, კელის, ქელის, ლიზს, მენდის, მარგარეტს, ნატალიას, ნიკოლს, ნორას, ოლგას, პემს, პალინას, რაინას, რეიზის, რაიკას, რაიანს, რუთს, სტეფს, სუსის, ტაშას, ტეილორს და იუნას. ასევე ყველა იმ ნიჭიერ და მხიარულ ქალს (და მამაკაცს), რომელთაც ინტერნეტის საშუალებით დავუმეგობრდი.

მადლობას ვუხდის მორგანს და ჯენს იმ ყველაფრისთვის, რაც სასტუმრო „ჰიტმანთან“ არის დაკავშირებული.

დაბოლოს, უღრმესი მადლობა ჯანინს – ჩემს რედაქტორს. შენ ის ქვაკუთხედი ხარ, რომელზედაც ეს ყველაფერი დგას.

ეს არის და ეს.

## პროლოგი

---

ოს ბრუნდება. დედა დივანზე წევს, სძინავს, ან ისევ ცუდად არის.

სამზარეულოში, მაგიდის ქვეშ ვიმალები და რომ ვერ მიპოვოს, კედელს რაც შეიძლება მეტად ვეკვრები. სახეზე ხელებს ვიფარებ. ოდნავ განუღებ თითებს შორის, ჭუჭყიან მწვანე პლედზე ჩამოდებულ დედას ხელს ვხედავ. მისი ფეხები მბზინვარე ბალთიანი, უზარმაზარი, ყელიანი ფეხსაცმლით დედას გასწვრივ ჩერდება.

*ქამარს ურტყამს... „ადეკი! ადეკი! ბოზო! აეთრიე შე, ბოზო! ბოზო! ბოზო! ბოზო!..“*

დედა სლუკუნებს. „გთხოვ, არ გინდა, გეხვეწები!.. დედა არ ყვირის. მოკუნტული სახეს მალავს.

თვალებს ვხუჭავ და ყურებზე ხელებს ვიფარებ. ხმები წყდება.

თვალებს ვახელ. ის ბრუნდება და სამზარეულოსკენ მოდის. ხელში ისევ ქამარი უჭირავს. მეძებს.

იხრება, მაგიდის ქვეშ იყურება და მაშინვე სიგარეტისა და სასმლის საზიზღარ სუნს ვგრძნობ. *აი, სად ყოფილხარ, ნაბიჭვარო!..*

საკუთარი სულის გამყინავი ყვირილი აღვიძებს. *ღმერთო! მთლიანად ოფლში ცურავს, გული ამოვარდნაზე აქვს. რა ხდება? მკვეთრად ჯდება და თავს აქნევს. ჯანდაბა, ისევ დაბრუნდნენ... ჰაერს ღრმად ისუნთქავს და მერე ნელა უშვებს*

ფილტვებიდან, რომ ნესტოებიდან და მახსოვრობიდან იაფ-  
ფასიანი ბურბონისა და „ქემელის“ მყრალი სუნი მოიშოროს  
და რამენაირად დამშვიდდეს.

## თავი პირველი

---

კრისტიანის გარეშე მესამე და ჩემი პირველი სამუშაო დღე როგორღაც გადავაგორე. თითქოს ბურუსში გამკრთალი ახალი სახეების აღქმასა და მისტერ ჯეკ ჰაიდისთვის შესასრულებელ სამუშაოში გარკვევაზე ოდნავ გულის გადაყოლებაც კი შეეძელი. ...აი ისიც, მისტერ ჯეკ ჰაიდი, ჩემი ბოსი მაგიდაზე ხელდაყრდნობილი ზემოდან ქვემოთ დამყურებს და ცისფერ თვალებში ნაპერწკალი უელავს.

– ყოჩაღ, ანა. ვფიქრობ, ერთმანეთს მშვენივრად შევეწყობით.

თავს ძალას ვატან, რომ სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსი გამოვისახო.

- თუ წინააღმდეგი არ ხართ, ნავალ, – ვეუბნები გაუბედავად.
- რა თქმა უნდა, უკვე ექვსის ნახევარია. ხვალამდე.
- ნახვამდის, ჯეკ.
- კარგად იყავი, ანა.

ჩანთას ხელს ვავლებ, ქურთუკს ვიცვამ და კარისკენ მივდივარ. ქუჩაში გავდივარ თუ არა, სიეტლის ადრეული საღამოს ჰაერს ფილტვებში ღრმად ვუშვებ, მაგრამ არც ეს ჰაერია საკმარისი იმ სიცარიელის შესავსებად, რომელსაც შაბათ დილის შემდეგ მკერდში დანაკარგის ავადმყოფურ შეგრძნებად აღვიქვამ. თავდახრილი და საკუთარ ფეხებს დაჩერებული ავტობუსის გაჩერებისკენ მივემართები და იმაზე ვფიქრობ, რა მეშველება ჩემი საყვარელი, ბებერი „ვანდასა“ და „...აუდის“ გარეშე.

თავისთვის შეძახება მჭირდება, რომ გონს მოვიდე. არა,

იმაზე არ ვიფიქრებ! რა თქმა უნდა, მე ახლა იმის საშუალებაც მაქვს, რომ რომელიმე ახალთახალი, ლამაზი მანქანა ვიყიდო, მაგრამ... ეჭვი მაქვს, რომ იმაზე მეტი მომცა, ვიდრე „ვანდას“ გაყიდვით ტეილორი აიღებდა. ამ აზრისგან პირში გემოც კი მიმწარდება, მაგრამ არ ვიმჩნევ. ყველაფერი თავიდან უნდა ამოვიგდო, არაფერზე არ უნდა ვიფიქრო და არაფერი ვიგრძნო... მასზე ფიქრი არ შეიძლება, თორემ ისევ ავტირდები, პირდაპირ აქ, ქუჩაში.

კეიტის გარეშე ბინა ცარიელია. მენატრება. ალბათ ახლა ბარბადოსის პლაჟზეა წამოწოლილი და ცივ კოქტეილს წრუპავს. ხმაურით სიცარიელის შესავესებად და თუნდაც, ილუზიის შესაქმნელად, რომ მარტო არა ვარ, ბრტყელეკრანიან ტელევიზორს ვრთავ, თუმცა არც ვუსმენ და არც ვუყურებ. ვჯდები და უაზროდ აგურის კედელს შევცქერე. ერთიანად გაქვავებული, ტკივილის გარდა ვერაფერს ვგრძნობ. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?

ტკივილების მორევში გაშეშებული ამ მდგომარეობიდან დომოფონის ხმას გამოვყავარ, შიშისგან ვცბები, გული მიჩქარდება. ვინ უნდა იყოს? ღილაკს აკანკალებულ თითს ვაჭერ.

– თქვენთვის ამანათია, მის სტილ, – მესმის ზანტი, უემოციო ხმა და გული მწყდება. კიბეზე უხალისოდ ჩავდივარ. ქვემოთ შემოსასვლელ კარს მიყუდებული ბიჭი მხვდება, ხელში მუყაოს ყუთი უჭირავს და კევს ალლაჭუნებს. ქვითარზე ხელს ვანერ და დიდი, თუმცა კი საოცრად მჩატე ყუთით ხელში უკან ვბრუნდები. შიგ ოცდაოთხი გრძელი თეთრი ვარდი და ბარათია.

პირველ სამუშაო დღეს გილოცავ.

იმელი მაქვს, უარვად ჩაიარა.

დადი მადლონა ჰლანერისთვის. უარვა არჩევანია.

შენმა საჩუქარმა ჩემს სამუშაო მაგადაზე საპაწიო ადგალი

დაიჭავა.

ყრისჯანია

ბარათზე ნაბეჭდ ასოებს დავყურებ და მკერდში სიცარიელის შეგრძნება კიდევ უფრო მეზრდება. დარწმუნებული ვარ, ყვავილები მდივანს გამოაგზავნიან, თვითონ თითსაც არ გაანძრევდა. ამაზე ფიქრი ტკივილს მაყენებს. დავყურებ ულამაზეს ვარდებს და ძალა არ მყოფნის, რომ გადავყარო. სხვა რა გზაა, ლარნაკის მოსაძებნად სამზარეულოსკენ მივფრატუნებ.

**ჩემი დღევანდელი ცხოვრების სურათი ასეთია:** გაღვიძება, სამსახური, სალამოს კი ცრემლები და ძილი, უფრო სწორად, ძილის მცდელობა. კრისტიანი სიზმარშიც არ მანებებს თავს. მისი ანთებული ნაცრისფერი თვალები, შუქზე სპილენძისფრად მბზინავი თმა... და მუსიკა... უამრავი მუსიკა... მუსიკას საერთოდ ველარ ვუსმენ, თუკი სადმე მესმის, ვცდილობ იქაურობას სასწრაფოდ გავეცალო, სარეკლამო ზანზალაკების რეკვასაც კი გავურბივარ.

ამის შესახებ არავისთვის მითქვამს, არც დედასთვის და არც რეისთვის, ძალა არ მეყო. ახლა ლაპარაკი საერთოდ არავისთან არ მინდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მხოლოდ ჩემს განცალკევებულ და ომით გაცამტვერებულ უკაცრიელ კუნძულზე ვიმყოფები, სადაც არაფერი ხარობს და ჰორიზონტიც კი ბნელი და ცარიელია. ჰო, ასეთი ვარ. სამსახურში თითქოს ყველასთან მაქვს ურთიერთობა, მაგრამ სინამდვილეში არავისთან ვმეგობრობ, ეს არის და ეს. მაგრამ დედას რომ დაველაპარაკო, გავტყდები, არადა სულში ისედაც აღარაფერი დამრჩა მთელი და დაუმტვრეველი.

**მადა სრულიად დავკარგე.** ოთხშაბათს, სადილის დროს, პირველად პარასკევის მერე, როგორღაც პატარა ჭიქა იოგურტს მოვერიე. მთელი ამ დროის განმავლობაში კაპუჩინოსა და დიეტური კოლის ნყალობით ვარსებობ, კოფეინზე ვარ „შემჯდარი“ და აქედან აშკარად კარგი არაფერი გამოვა.

ჯეკი ჩემს მაგიდასთან ძალიან ხშირად მოდის, პირად ცხოვრებაზე კითხვებით თავს მამბებრებს.

ამას რალა უნდა?.. ვცდილობ, თავაზიანი ვიყო, მაგრამ ახლოს არ ვუშვებ.

კომპიუტერთან ვზივარ, ჯეკის ფოსტას ვამონმებ და მიხარია, რომ ეს უაზრო და მექანიკური სამუშაო პრობლემებზე ფიქრის დროს აღარ მიტოვებს. ჩემს ფოსტაში შემომავალი იმეილის ნრიპინი ისმის და ნაჩქარევად ვამონმებ წერილი ვისგან არის.

ჯანდაბა! კრისტიანი!.. *ოჰ, ღმერთო... ოღონდ სამსახურში არა!..*

**From:** კრისტიან გრეი

**Subject:** ხვალინდელი დღე

**Date:** 8 ივნისი, 2011; 14:05

**To:** ანასტასია სტილი

ძვირფასო ანასტასია,  
მაპატიე, რომ მუშაობის დროს გწერ. იმედი მაქვს, ხელს ძალიან არ შეგიშლი. მიიღე ჩემი გამოგზავნილი ყვავილები?

როგორც მახსოვს, ხვალ შენი მეგობრის გამოფენა იხსნება. დარწმუნებული ვარ, მანქანის ყიდვის დრო არ გექნებოდა, იქამდე კი შორი გზაა. თუ სურვილიც გექნება, ბედნიერი ვიქნები, თუ გამოფენის გახსნაზე შენი წაყვანის ნებას დამრთავ.

გამაგებინე, რას გადაწყვეტ.

კრისტიან გრეი

„გრეი ენტერპრაიზის ჰოლდინგის“ გენერალური დირექტორი

თვალეები ცრემლებით მევსება, მაგიდიდან ნაჩქარევად ვდგები, ტუალეტში გავრბივარ და ერთ-ერთ კაბინაში ვიმალები. ხოსე სრულიად ამომვარდა თავიდან! არადა, ხომ დავპირდი, გამოფენის გახსნაზე ჩამოვალ-მეთქი... ჯანდაბა! კრისტიანი მართალია, იქამდე როგორ ჩავალწევ?!  
ხელს გახურებულ შუბლზე ვიდებ. კი მაგრამ, ხოსემ რატომ არ დამირეკა? საერთოდ რატომ არავინ მიირეკავს? საკუთარი გრძნობების მორევში ჩაძირულმა ისიც კი ვერ შევნიშნე, რომ ჩემს

მოზილურ ტელეფონზე ამ ბოლო დღეებში არავის დაურეკავს.

ჯანდაბა! რა იდიოტი ვარ! ტელეფონზე ხომ ზარების გადა-  
მისამართების რეჟიმი მაქვს დაყენებული, ყველა ზარი კრის-  
ტიანთან დატოვებულ „ბლეკბერიზე“ შედის! გამოდის, რომ ამ  
დღეების განმავლობაში, თუ რა თქმა უნდა, კრისტიანმა სულაც  
არ გადააგდო სმარტფონი, ყველა ზარი მასთან შედიოდა. ნეტა  
აქაური იმეილი როგორ გაიგო? თუმცა ჩემი ფეხის ზომაც კი  
იცის, ელექტრონული ფოსტის გაგება მისთვის რა პრობლემაა?!

შევძლებ კი ისევ შეხვედრას? გავუძლებ? მინდა მისი ნახვა?  
თვალეხს ვხუჭავ და მხურვალე მონატრებითა და მწუხარებით  
გულდასერილს თავი უკან მივარდება. რა თქმა უნდა, მინდა!..

მაგრამ, ალბათ... ალბათ ჯობია მივწერო, რომ წასვლა  
გადავიფიქრე... არა, არა, არა!.. იმ ადამიანის გვერდით ვერ  
ვიქნები, რომელსაც ჩემთვის ტკივილის მოყენება სიამოვნებს,  
რომელსაც არ ვუყვარვარ.

გონებაში მტანჯველი მოგონებები მიცოცხლდება: საა-  
ბაზანო, ძლიერი, ალერსიანი ხელები, სავსე ტურჩების შეხება,  
მისი იუმორი და დაბინდული, ამაღლევებელი და საშინლად  
სექსუალური მზერა. მენატრება. ხუთი დღე გავიდა, ხუთი  
მტანჯველი, საუკუნედ განელილი დღე... ყოველდამე ცრემ-  
ლებით ვიძინებდი, ვნანობდი, რომ არაფერი გამოგვივიდა,  
ვოცნებობდი, რომ შეცვლილიყო და ერთად ყოფნა შეგვძლე-  
ბოდა. კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიტანჯო ამ ყოვლისნამლეკავი  
გრძნობით? ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჯოჯოხეთში ვარ.

მხრებზე ხელებს ვიხვევ, ძლიერად, მთელი ძალით ვიჭერ,  
თითქოს მეშინია, რომ ცოტაც და ნაწილებად დავიშლები. მის  
გარეშე ცუდად ვარ. მენატრება... ყველაფერი ძალიან მარ-  
ტივია, უბრალოდ მიყვარს...

*ანასტასია სტილ, ნუ გავიწყდება, რომ სამსახურში ხარ!*  
ძლიერი უნდა ვიყო, მაგრამ ხოსეს გამოფენაზე წასვლა მინდა,  
სადღაც ღრმად ჩემში ჩაბუდებულ მაზოხისტს კი გამოფენაზე  
მეტად კრისტიანის ნახვა სწყურია. მთელი მეგრდით ჰაერს ვი-  
სუნთქავ, ხმაურით უკან ვუშვებ და ჩემი მაგიდისკენ მივიღივარ.

---

**From:** ანასტასია სტილი  
**Subject:** ხვალინდელი დღე  
**Date:** 8 ივნისი, 2011; 14:25  
**To:** კრისტიან გრეი

გამარჯობა, კრისტიან.

გმადლობ არაჩვეულებრივი ყვავილებისთვის.

გამოფენის გახსნაზე წასვლა ნამდვილად მინდა.

გმადლობ

„ეს-აი-პის“ რედაქტორ ჯეკ ჰაიდის თანაშემწე ანასტასია სტილი

მობილურს ვამონმებ. არ შევმცდარვარ – „ბლეკბერიზე“ გადამისამართებაა ჩართული. ჯეკი შეხვედრაზეა, ასე რომ, შემთხვევით ვსარგებლობ და ნაჩქარევად ვკრეფ ხოსეს ნომერს.

– გამარჯობა, ხოსე, ანა ვარ.

– გამარჯობა, დაკარგულო, – ხოსეს ხმიდან იმხელა სითბო და სიკეთე იღვრება, ტირილი მინდება.

– დიდხანს ლაპარაკი არ შემიძლია. გამოფენის გახსნა რომელ საათზეა დანიშნული?

– ჩამოხვალ? – მეკითხება აღფრთოვანებული.

– რა თქმა უნდა, – თვალწინ ხოსეს სახე და მისი ნათელი ღიმილი მიდგება და პირველად ხუთი დღის განმავლობაში მეც გულლიად ვიღიმები.

– რვის ნახევარზე.

– მაშინ შეხვედრამდე. კარგად იყავი, ხოსე.

– კარგად, ანა.

---

**From:** კრისტიან გრეი  
**Subject:** ხვალინდელი დღე  
**Date:** 8 ივნისი, 2011; 14:27  
**To:** ანასტასია სტილი

რომელ საათზე მოგაკითხო?

კრისტიან გრეი

„გრეი ენტერპრაიზის ჰოლდინგის“ გენერალური დირექტორი